

შპს „ბემონი“

2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს "ბემონი"				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
ერთეული: 1 GEL				
	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	12573	506501	67203	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	362037	335396	375446	3.2
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	38659	2836	2089	3.3
მარაგები				
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა მარაგი				
საინვესტიციო ქონება	3789705	3912801	4291878	3.5
სხვა მიმდინარე აქტივები	5668750	4287204	3459155	3.4
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	487	660	660	
ძირითადი საშუალებები	204418	184771	201049	3.6
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	77500	77500	51000	3.7
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	10154129	9307669	8448480	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	255153	197783	168569	3.8
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	8	8	8	
საგადასახადო ვალდებულებები	17492	3379		
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	58747	52513	16277	3.9
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	8714			3.10
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	93333	146155	196569	3.10
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები		8	8	
სულ ვალდებულებები	433447	399846	381431	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)		416820	310600	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	9720682	8491003	7756449	
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
სულ საკუთარი კაპიტალი	9720682	8907823	8067049	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	10154129	9307669	8448480	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2020 წ.				
დირექტორები: _____ ზ. იაკობიძე				
_____ დ. მიმინოშვილი				
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს "ბემონი"			
საკმეიანობის შედეგები			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2019	2018	შენიშვნა
ნეტო ამონაგები	863386	2431601	3.11
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან		1783835	
- მომსახურების გაწევიდან	863386	647766	
- სხვა ამონაგები			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-53341	-257603	
- საწყისი მარაგები			
- მარაგების შესყიდვა	-53341	-257603	
- გადამუშავების დანახარჯები			
- საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება	810045	2173998	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-101892	-145881	
ცვეთა და ამორტიზაცია	-187353	-190137	
საპროცენტო შემოსავალი	529981	429099	
საპროცენტო ხარჯი	-11543	-178392	
იჯარის ხარჯი	-460		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-107636	-247903	3.12
სულ საოპერაციო ხარჯები	121097	-333214	
საოპერაციო მოგება	931142	1840784	
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	345104	163650	
მიღებული დივიდენდები	65410	52583	3.13
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	-2954	1	3.14
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	1338702	2057018	
მოგების გადასახადის ხარჯი	-1428	-28782	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	1337274	2028236	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რევერსი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	1337274	2028236	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	8907823	8067049	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)	-416820	106220	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-107595	-1293682	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	9720682	8907823	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2020 წ.			
დირექტორები: _____		ზ. იაკობიძე	
_____		დ. მიმინოშვილი	
თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს "ბემონი"		
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება		
		ერთეული: 1 GEL
	საანგარიშგებო პერიოდი	
	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	565149	-55311
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-491183	1664915
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-574685	-1188626
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-500719	420978
სავალუტო კურსის ეფექტი	6791	18320
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	506501	67203
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	12573	506501
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2020 წ.		
დირექტორები: _____	ზ. იაკობიძე	
_____	დ. მიმინოშვილი	

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.		

2019 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ბემონი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია დარეგისტრებულია 1996 წლის 28 მარტს საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ, რეგისტრაციის ნომერია 5ა/4-201, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 211322656, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, მ. კოსტავას ქ. N 37-39. ფაქტობრივი მისამართი ემთხვევა იურიდიულ მისამართს.

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად 2006 წლის 1 მარტს.

1.2. კომპანიის მფლობელები არიან: ზაალ იაკობიძე (პ/ნ 01024010547) - 71% წილის მფლობელი; დავით მიმინოშვილი (პ/ნ 01024003651) - 29% წილის მფლობელი.

1.3. კომპანიის დირექტორები არიან: ზაალ იაკობიძე (პ/ნ 01024010547); დავით მიმინოშვილი (პ/ნ 01024003651).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა. არასაცხოვრებელი შენობები, რომლებიც ქირავდება ან გაკუთვნია გასაქირავებლად, მდებარეობს თბილისში, ფოთში და რუსთავში.

1.5. კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჰყავს მეკავშირე საწარმო - შპს „კობი-2009“ (ს/კოდი 205268985), რომლის კაპიტალში ეკუთვნის 50%.

1.6. კომპანიას დაქირავებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხვი 2019 წელს შეადგენდა 15 კაცს. ბუღალტრულ აღრიცხვას ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებს მომსახურე აუდიტორი ფირმა.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება და შედეგების ასახვა ხდება პერსპექტიულად, ანუ იმ პერიოდში, როდესაც მოხდა სააღრიცხვო შეფასების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოს, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის)

ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2019 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	50	0
ლარი საბანკო ანგარიშებზე	12519	44162
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	4	462319
ევრო საბანკო ანგარიშებზე		19
სულ:	12573	506501

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები იჯარიდან და თანმხლები მომსახურებიდან	315360	335396
სულ:	315360	335396

2018 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს.

3.3. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	28271	447
მომდევნო წლის ხარჯები და სხვა მოთხოვნები	1766	1767
გადახდილი სასამართლო ბაჟი	8622	622
სულ:	38659	2836

3.4. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
გაცემული სესხი (იურიდიულ პირზე)	5662580	4287204
წინსწრებით გადახდილი გადასახადები	6167	
ზედმეტობა საპენსიო სააგენტოსთან	3	
სულ:	5668750	4287204

3.5. საინვესტიციო ქონება - მიწა:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მიწა არასასოფლო სამეურნეო 62.01.54.002	484	484
მიწა არასასოფლო სამეურნეო 01.15.03.010.135	457951	457951
მიწა არასასოფლო სამეურნეო 23.07.01.380	2799	2799
მიწა არასასოფლო სამეურნეო 02.05.06.216	9000	9000
მიწა არასასოფლო სამეურნეო 04.02.10.001	122476	122476
სულ:	592710	592710

გარდა ამისა, მიწა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, საკადასტრო კოდით 02.01.05.020 არის 25-წლიანი იჯარით აღებული.

საინვესტიციო ქონება - შენობა-ნაგებობები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	2019 წელი ზრდა ან შემცირება	2019 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
„გრატოს“ შენობა (ადმ. ნაწილის გარეშე)	2511866	51447	138794	2599213
სხვა შენობა- ნაგებობები	685129	0	35748	720878
სულ:	3196995	51447	174543	3320091

3.6. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	2019 წელი ზრდა ან შემცირება	2019 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
შენობის ადმინისტრაციული ნაწილი	186450	30181	8818	165087
არაექსპლუატირებუ ლი მოძრავი ქონება (რეზერვუარები)	6572	0	0	6572
ელექტროგადამცემის მოწყობილობები	0	0	0	0
კავშირგაბმულობის მოწყობილობები	2334	0	491	2825
ოფისის აღჭურვილობა	2209	2102	530	637
ავეჯი	6853	0	1460	8313
სხვა ძირითადი საშუალებები	0	0	1337	1337
სულ:	204418	32283	12636	184771

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა 2019 წლის ბოლოს შეადგენდა: 1403873 ლარს.

3.7. გრძელვადიანი ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში:

ამ მუხლში ასახულია ინვესტიცია მეკავშირე საწარმოს - შპს „კობი-2009“-ის კაპიტალში, რომელშიც შპს „ბემონს“ ეკუთვნის 50%. ინვესტიცია აღიარებულია მისი თვითღირებულებით, შპს „კობი-2009“-ის დაფუძნებისას და შემდგომ კაპიტალის გაზრდის დროს შეტანილი თანხის ოდენობით, რომელიც შეესაბამება მის რეალურ ღირებულებას,

რადგან ეს მეკავშირე საწარმო რეგულარულად უხდის მიღებული მოგებიდან კუთვნილ წილს შპს „ბემონს“.

3.8. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	255153	197783
სულ:	255153	197783

31.12.2019 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება მხოლოდ რეზიდენტი მიმწოდებლების (სულ - 11 პირი) წინაშე.

3.9. გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მიღებული ავანსები მოიჯარეებისაგან	58747	52513
სულ:	58747	52513

3.10. მიმდინარე და გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ფიზიკურ პირისგან მიღებული გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	8714	
ფიზიკურ პირისგან მიღებული გრძელვადიანი სესხის ძირი	48179	112542
ფიზიკურ პირისგან მიღებულ გრძელვადიან სესხზე დარიცხული პროცენტი	45155	33612
სულ:	102048	146155

3.11. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2018-2019 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა იჯარიდან შემოსავლებიდან და მიწის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისაგან:

	2019 წელი	2018 წელი
საიჯარო შემოსავლები და თამხლები მომსახურება	863386	647766
მიწის გაყიდვა		1783835
სულ:	863386	2431601

2018 წელს გაყიდული ორი მიწის ნაკვეთის თვითღირებულებამ შეადგინა 233323 ლარი.

3.12. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, იჯარის, პროცენტების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

	2019 წელი	2018 წელი
მარკეტინგული და საშუაშვლო მომსახურება	5719	9714
სარეკლამო მომსახურება		106221
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	12000	13079
დაზღვევა		5130
ქონებისა და მიწის გადასახადები	37252	39102
მოგების გადასახადის ხარჯი („ესტონური მოდელით“)		18745
საექსპლუატაციო ხარჯები და რემონტი	42723	39640
ელ.ენერგიის და კომუნალური დასუფთავების ხარჯი	5201	5770
საკომუნიკაციო ხარჯები	3949	4378
საბანკო ხარჯები	274	171
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	519	5955
სულ:	107636	247903

3.13. მიღებული დივიდენდები:

მიღებული დივიდენდები სრულად შედგება მეკავშირე საწარმოსაგან- შპს „კობი-2009“-დან მიღებული კუთვნილი მოგების წილისგან.

3.14. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯები:

	2019 წელი	2018 წელი
სხვა ფინანსური ხარჯი (სასამართლოს დაკისრებული)	2892	
ჯარიმები და საურავები	60	
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯი	2	
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავალი	0	1
სულ:	2954	1

3.15. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

2017-2019 წლებში მიღებული მოგებიდან დივიდენდების განაწილება არ მომხდარა. კომპანიის მიერ 2018 და 2019 წლებში გაცემული დივიდენდები განაწილებულია 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგებიდან. შესაბამისი წლების ფინანსური შედეგი შემცირებულია იმ მოგების გადასახადის ხარჯით, რომელიც წარმოიშვა 2016 წლის (ან უფრო ადრინდელი პერიოდის) დაგროვილი მოგებიდან დივიდენდების გაცემის გამო, დაბეგვრის „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

3.16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დამფუძნებლის/დირექტორის წინაშე არსებული სასესხო ვალდებულება:

	31.12.2019	31.12.2018
სასესხო ვალდებულება (ძირი + პროცენტი)	102048	112542
სულ:	102048	112542

საპროცენტო ხარჯი დამფუძნებლისაგან/დირექტორისაგან აღებული სესხიდან:

	2019 წელი	2018 წელი
საპროცენტო ხარჯი	11543	15434
სულ:	11543	15434

3.17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2020 წლის 1 იანვრიდან 25 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 25 სექტემბერს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	12573	506501	67203	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	314187	335396	375446	3.2
გადახდილი ავანსები	36893	2836	2089	3.3
მარაგები				
მ.შ. - შხა პროდუქცია				
- სხვა მარაგი				
საინვესტიციო ქონება	3789705	3912801	4291878	3.5
სხვა მიმდინარე აქტივები	5662703	4287204	3459155	3.4
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	487	660	660	
ძირითადი საშუალებები	204418	184771	201049	3.6
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	77500	77500	51000	3.7
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	10098466	9307669	8448480	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	255153	197783	168569	3.8
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	127	8	8	
საგადასახადო ვალდებულებები	11320	3379		
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	58936	52513	16277	3.9
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	8714			3.10
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	93334	146155	196569	3.10
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები		8	8	
სულ ვალდებულებები	427584	399846	381431	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)		416820	310600	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	9670882	8491003	7756449	
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
სულ საკუთარი კაპიტალი	9670882	8907823	8067049	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	10098466	9307669	8448480	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2020 წ.

დირექტორები: _____ ზ. იაგოზიძე

_____ დ. მიმინოშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



საქმიანობის შედეგები

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2019	2018	
ნეტო ამონაგები	863386	2431601	3.11
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან		1783835	
- მომსახურების გაწევიდან	863386	647766	
- სხვა ამონაგები			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-53341	-257603	
- საწყისი მარაგები			
- მარაგების შესყიდვა	-53341	-257603	
- გადამუშავების დანახარჯები			
- საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება	810045	2173998	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-101892	-145881	
ცვეთა და ამორტიზაცია	-187353	-190137	
საპროცენტო შემოსავალი	529981	429099	
საპროცენტო ხარჯი	-11543	-178392	
იჯარის ხარჯი	-460		3.12
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-109402	-247903	
სულ საოპერაციო ხარჯები	119331	-333214	
საოპერაციო მოგება	929376	1840784	
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			3.13
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	345104	163650	
მიღებული დივიდენდები	65410	52583	3.14
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	-2948	1	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	1336942	2057018	
მოგების გადასახადის ხარჯი	-1429	-28782	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	1335513	2028236	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	1335513	2028236	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	8907823	8067049	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)		106220	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-107595	-1293682	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-48039		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-416820		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	9670882	8907823	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2020 წ.

დირექტორები: _____ ზ. იაკობიძე

დ. მიმინოშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



შპს "ბემონი"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	565149	-55311
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-491183	1664915
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-574685	-1188626
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-500719	420978
სავალუტო კურსის ეფექტი	6791	18320
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	506501	67203
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	12573	506501

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2020 წ.

დირექტორები: _____

ზ. იაკობიძე

დ. მიმინოშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

